

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შესაბამისი ცოდნის და პრაქტიკული უნარის საფუძველზე განახორციელებენ წარმოების ყველა დარგისათვის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მანქანა-დანადგარების, მოწყობილობებისა და ცალკეული ნაკეთობების პროექტირებას, წარმოების ტექნოლოგიის განვითარებას, შენარჩუნებას და რემონტს.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

აღწერს მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს საწარმოთა დაგეგმარების, მანქანა-დანადგარების, მოწყობილობებისა და ცალკეული ნაკეთობების პროექტირების, წარმოების ტექნოლოგიის, განვითარების, შენარჩუნების და რემონტის საკითხებს;

განიხილავს მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს მანქანა-დანადგარების დაპროექტების, საწარმო და ტექნიკური ექსპლუატაციის მეთოდებს;

აკავშირებს დამზადების ტექნოლოგიური პროცესების, მანქანა-დანადგარების კონსტრუირების, ექსპლუატაციის, რემონტის და საწარმოთა დაგეგმარების მნიშვნელოვან ასპექტებს;

პრაქტიკაში იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებს მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიების, წარმოების საშუალებებისა და მანქანათსაშენი საწარმოთა დაგეგმარების, მუშაობის პროცესებში;

იღებს მონაწილეობას მანქანების და მანქანათა სისტემების ავტომატიზებული, ელექტრომექანიკური, ელექტროჰიდრო და პნევმატიკურ ამძრავთა და მექატრონიკული მოდულების პროექტირებაში, რეგულირებასა და მართვაში;

აპროექტებს და ამზადებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისათვის საჭირო მჭრელ იარაღებს და სამარჯვებს;

აგროვებს დარგისათვის დამახასიათებელ მონაცემებს ტექნოლოგიური პროცესებისა და საწარმოთა დაგეგმარებისათვის, მათ შორის ახალი მასალების გამოყენების მნიშვნელობის შესაფასებლად;

აანალიზებს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოდ განხორციელების საკითხებს;

აყალიბებს დასკვნებს ზოგიერთი არაპროგნოზირებადი მონაცემების ირგვლივ პრობლემების გადასაწყვეტად და მათ საფუძველზე ამზადებს პრეზენტაციებს ეთიკის პრინციპების დაცვით;

გეგმავს ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით განათლების მომდევნო საფეხურებზე სწავლის გაგრძელების საჭიროებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას

არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საწარმოო პრაქტიკა სრულდება სტუ-ს სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესის თანახმად https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/pragtika_18_SD.pdf

საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი

https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/2sabalavro_%20nashromi_%202019_SD.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	საინჟინრო მათემატიკა 1	5
2	ზოგადი ფიზიკა 1	5
3	ზოგადი ქიმია A	3
4	მხაზველობითი გეომეტრია	3
5	კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 1	4
6	ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა	5
7	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5
8	უცხო ენა 1	
8.1	ინგლისური ენა - 1	5
8.2	გერმანული ენა - 1	
8.3	ფრანგული ენა - 1	
8.4	რუსული ენა -1	
9	საინჟინრო მათემატიკა 2	5
10	ზოგადი ფიზიკა 2	5
11	გეგმილური ხაზვა	3
12	კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 2	4
13	უცხო ენა 2	
13.1	ინგლისური ენა -2	5
13.2	გერმანული ენა -2	
13.3	ფრანგული ენა -2	
13.4	რუსული ენა -2	
14	თეორიული მექანიკა (სტატიკა)	5
15	არჩევითი ჰუმანიტარული	
15.1	ფილოსოფიის საფუძვლები	3
15.2	შესავალი ფსიქოლოგიაში	
15.3	საქართველოს ისტორია	
15.4	სოციოლოგიის შესავალი	
15.5	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	

15.6	ტექნიკური დიზაინის ისტორია	
16	საინჟინრო მათემატიკა 3	5
17	თეორიული მექანიკა (დინამიკა)	5
18	სამანქანათმშენებლო ხაზვა	3
19	აკადემიური წერის ელემენტები	3
20	უცხო ენა 3	
20.1	ინგლისური ენა -3	5
20.2	გერმანული ენა -3	
20.3	ფრანგული ენა -3	
20.4	რუსული ენა -3	
21	ჰიდრავლიკის საფუძვლები	3
22	შრომის დაცვის საფუძვლები	3
23	ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის საფუძვლები	3
24	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	3
25	ნამზადების პროექტირება და წარმოება	3
26	თერმოდინამიკა და თბოგადაცემა	3
27	საწარმოო სწავლება სასწავლო სახელოსნოში	3
28	მასალათა გამძლეობა	5
29	მექანიზმებისა და მანქანების თეორია	5
30	მექატრონიკის საფუძვლები	3
31	უცხო ენა 4	
31.1	ინგლისური ენა 4	5
31.2	გერმანული ენა 4	
31.3	ფრანგული ენა 4	
31.4	რუსული ენა 4	
32	ურთიერთმენაცვლებადობა, სტანდარტიზაცია და ტექნიკური გაზომვები	5
33	მანქანათა ნაწილები და ამწე სატრანსპორტო მანქანები 1	5
34	მასალების ჭრით დამუშავება	5
35	ჰიდრო და პნევმო ამძრავები	4
36	ავტომატური რეგულირების თეორია	4
37	მჭრელი იარაღები	5
38	თავისუფალი კომპონენტი	5
39	მანქანათა ნაწილები და ამწე სატრანსპორტო მანქანები 2	5
40	ჩარხები და ტექნოლოგიური კომპლექსები 1	4
41	მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგიის საფუძვლები	5
42	ამძრავთა ატომატიზებული ელექტო-მექანიკური სისტემები	5
43	ჰიდრავლიკური და ელექტროჰიდრავლიკური გამაძლიერებლები და სისტემები	4

44	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა	3
45	ჩარხები და ტექნოლოგიური კომპლექსები 2	4
46	მექანიკის ინჟინერიის ტექნოლოგია	5
47	ტექნოლოგიური მანქანების პროექტირება	5
48	პრაქტიკა მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში	6
49	თავისუფალი კომპონენტები	5
50	კომპოზიტური მასალებისაგან ნაკეთობების მიღება	4
51	წარმოების ეკონომიკა და მენეჯმენტი	4
52	სამარჯვების დაპროექტება	3
53	მანქანათსაშენ საწარმოთა დაპროექტება	5
54	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	
54.1	მანქანების რემონტის ტექნოლოგია	5
54.2	საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია	
54.3	ჰიდრო და პნევმოძოწობილობების მონტაჟი, გაწყობა, ტექნიკური ექსპლუატაცია და რემონტი.	
54.4	ტექნოლოგიური მანქანების კვლევა, გამოცდა ექსპლუატაცია და რემონტი	
55	საბაკალავრო ნაშრომი	5
	თავისუფალი კომპონენტები	
1	ბეჭდვითი რეკლამა	5
2	მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის კომპოზიციის საფუძვლები	5
3	ფოტოპროცესები და ჰარმონიული პროპორციები ბეჭდვით მედიაში	5
4	ბეჭდვითი ნაწარმის ორიგინალ მაკეტების დიზაინი და კონსტრუირება	5
5	მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანტროპომეტრია	5
6	მერქნის დაკონსერვება	5